წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 8

ქ. წყალტუბო 1 აგვისტო, 2025 წელი

2025 წლის 1 აგვისტოს, 15:00 საათზე, ჩატარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: თეიმურაზ ჭეიშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - კობა გურეშიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: სერგო კირკიტაძე, გიორგი დოლიძე.

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები: მაკა ჭელიძე, არჩილ ღიბრაძე, შალვა კილაძე, რევაზ დიდავა, ლევან ჩანქსელიანი;

ფრაქციის თავმჯდომარე: გიორგი ფაჩუაშვილი;

წევრები: ნოდარ ასათიანი, ვლადიმერ ხურცია, ნაილი ჭოლაძე, ლატავრა ბენდელიანი, გრიგოლ მაღლაფერიძე, მამუკა ჩხეტიანი, ირინე ცაავა, იასონ ბზიკაძე, ხათუნა მაღლაკელიძე, ავთანდილ მხეიძე, ალექსანდრე ნიქაბაძე, ვეფხვია ბანძელაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: ომარ სინაურიძე, ჯეირან ომანაძე, სალომე ჯიმშელეიშვილი, დავით ხიდეშელი, ზურაბ ლექვინაძე, ვასილ მხეცაძე, დევი დოლაბერიძე, ნინო ჭეიშვილი,ფიქრია ერემეიშვილი, თენგიზ გოგელია, ავთანდილ გაბუნია, სოფიო ბოლქვაძე, გალაქტიონ ხარაბაძე, რუსუდან მანაგაძე, ზურაბ იოსელიანი, გელა ბურჯალიანი, ნარგიზა ტყაბლაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი -გენადი ბალანჩივაძე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ფატი გაგოშიძე, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი გელა თათარაშვილი, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი-ალექსანდრე დადუნაშვილი, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი-მაია ბერაძე, საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი ირინა ჩაკვეტაძე და საკრებულოს საჯარო მოხელეები.

თეიმურაზ ჭეიშვილმა სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1.,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის № 38

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/მომხს: არჩილ ღიბრაძე/

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

მომხრე -22

წინააღმდეგი -0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე არჩილ ღიბრაძის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის № 38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სულ ბიუჯეტი იყო 56 991 039 ლარი. იქნება 58 535 425 ლარი. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზრდება 1 544 386 ლარით.კერძოდ:

1. ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები-საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები -586 227 ლარი-(საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის #1955 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის # 1212 განკარგულება);
2. ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები-საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები-458 159 ლარი-(მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის, ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის #1207 განკარგულება);
3. სხვა შემოსავლები-ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახადები-სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი-500 000ლარი.

ბიუჯეტის ხარჯებში გაიწერება 1 544 386 ლარი. კერძოდ:

მერიის ხარჯებში 5000ლარი.

ასევე გააცნო მუხლობრივი ცვლილებები.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-22

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' მიღებული

იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/თან ერთვის ოქმს/.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: თეიმურაზ ჭეიშვილი

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანურ[illegible]ის მართვის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნონა კობერიძე

221274546